



თელავის მუნიციპალიტეტის მერია

შპს „ჰიდრო“

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სოფელ შალაურის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის პროექტი
(რეაბილიტაცია)



რევიზ.	თარიღი	გამოცემის მიზანი პროექტირებისთვის	მომზადდა ირაკლი წურჭულია	შეამოწმა ირაკლი წურჭულია	დაამტკიცა ირაკლი წურჭულია
					
ხელშეკრულების N: NAT220005143			განმარტებითი ბარათი და გრაფიკული ნაწილი		
დოკუმენტის ნომერი: 3თ-01					

შპს „ჰიდრო“

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სოფელ შალაურის ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის პროექტი
(განმარტებითი ბარათი და გრაფიკული ნაწილი)

დოკუმენტის N 3თ-01

შპს „ჰიდრო“-ს დირექტორი



ირაკლი წურჭუმია

თბილისი 2022 წ.

სარჩევი

განმარტებითი ბარათი		
N	დასახელება	გვ
1	პროექტის შემადგენლობა:	4
2	შესავალი	4
3	არსებული მდგომარეობა	4
4	საპროექტო უბნის წყლის საანგარიშო ხარჯი	5
5	საპროექტო ტერიტორიის ზოგადი ჰიდროგეოლოგიური კვლევა	6
6	ჭაბურღილის განლაგების ტერიტორიის ჰიდროგეოლოგია	8
7	ჭაბურღილის ბურღვა	9
8	საცდელი სამუშაოები	10
9	ჭაბურღილის ტუმბოს შერჩევა	10
10	ელექტრომეურნეობა	10
11	სოფელ შალაურის რეზერვუარში მიმწოდი მაგისტრალური მილსადენის ჰიდრავლიკური გაანგარიშება	11
12	მშენებლობის ძირითადი სამშენებლო მასალთ, ნაკეთობებით და ნახევარფაბრიკატებით უზრუნველყოფის წყაროები	12
13	მშენებლობის წარმოების ორგანიზაციის წინა პირობები	12
14	სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო ღონისძიებათა მოკლე დახასიათება	13
15	მშენებლობის განხორციელების გეგმა	13
16	მშენებლობის გრაფიკი	13
17	მშენებლობის მართვის ორგანიზაცია	13
18	სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია	14
19	სამუშაოთა შესრულების ხარისხის საწარმოო შესრულება	15
20	უსაფრთხოების ტექნიკა და შრომის დაცვა	15
21	საჭირო მანქანა მექანიზმები	16
22	გარემოს დაცვის ღონისძიებები	16

პროექტის შემადგენლობა

ტექნიკური დავალების მოთხოვნის შესაბამისად, განხორციელდა სოფ. შალაურის არსებული წყალმომარაგების ქსელის შესწავლა და განხილვა, საჭირო გახდა ახალი ჭაბურღილის პროექტის მომზადება და საპროექტო ჭაბურღილიდან არსებულ რეზერვუარამდე მაგისტრალური მილსადენის მოწყობა ასევე არსებულ რეზერვუარზე მაგისტრალური მილსადენის მიერთება.

სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე პროექტის ძირითადი მიმართულებები:

1. ახალი სანიტარულად დაცული არტეზიული ჭაბურღილის მოწყობა.
2. საპროექტო ჭაბურღილიდან არსებულ რეზერვუარამდე მაგისტრალური მილსადენის მოწყობა სიგრძით 370 მეტრი.

მუშა პროექტის შესადგენად ჩატარდა საველე სამუშაოები: ინვენტარიზაცია და ტოპო-გეოდეზიური გადაღება. შეიქმნა ტოპოგრაფიული რუკა ასევე ტრასის გაყოლებაზე გეოლოგიური კვლევა და ჭაბურღილის განთავსების ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური კვლევა.

ტოპო-გეოდეზიური გადაღებების სამუშაოების დროს შესრულდა წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელის ტრასირება, გრძივი და განივი პროფილების გადაღებით.

საინჟინრო-გეოლოგიურმა და ჰიდროგეოლოგიურმა კვლევებმა მოიცვა ადგილმდებარეობის ვიზუალური დათვალიერება და სარქივო მასალების შესწავლა საპროექტო ტერიტორიის, ინვენტარიზაციის დროს საინჟინრო ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სოფლის დასახელების წყალმომარაგების სისტემა.

სამშენებლო კონტრაქტორმა ორგანიზაციამ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა განახორციელოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და მოსახლეობასთან უმაულო კონტაქტში.

შესავალი

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი შალაური მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში კახეთის რეგიონში ზღვის დონიდან 650 მეტრ სიმაღლეზე თელავიდან 2 კილომეტრში და თბილისიდან 94 კმ. დაშორებით, სოფელი უკავშირდება საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებს და სოფლებს სავტომობილო გზით.

სოფელი განთავსებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთი ქანობით რელიეფზე 670-620 მ ნიშნულზე ზღვის დონიდან და ესაზღვრება სოფლები: ნასომხარი, კისისხევი და კურდღელაური.

არსებული მდგომარეობა

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სოფელი შალაურის მოსახლეობის რაოდენობა 2002 წლის მონაცემებით შეადგენს 2500 სულ კომლთა რაოდენობა კი 950 კომლი. პროექტით გათვალისწინებულია სოფელი შალაურისთვის ახალი ჭაბურღილის და მაგისტრალური მილსადენის მოწყობა რომელიც უნდა მიუერთდეს არსებულ წყალმომარაგების რკინაბეტონის რეზერვუარს.

საპროექტო უბნის მოსახლეობის რაოდენობა მოცემულია ცხრილში და ასევე რამბოლის მეთოდის მიერ მოთხოვნილი წყლის ხარჯები. მოცემული სიდიდეები იხილეთ ცხრილების სახით სადაც გათვალისწინებულია აშკარა დანაკარგების, გაჟონვების, მაგისტრალური დანაკარგები და სხვა.

N	დასახელება	მოსახლეობის რაოდენობა კაცი	წყლის ნორმა ლიტრი/დღე	საჭირო წყლის მოცულობა მ ³ /დღე	საჭირო წყლის მოცულობა მ ³ /სთ	საჭირო წყლის მოცულობა ლიტრი/წმ
1	2	3	4	5	6	7
1	სოფლის მოსახლეობა	2500	250	625,0	26,0	7,2
2	სახანძრო მარაგი			312,5	13,0	3,6
	ჯამი	2500		937,5	39,1	10,9
შენიშვნა: სახანძრო მარაგი შეადგენს მოსახლეობის წყალმოთხოვნილების 50% რაღაც სახანძრო წყალმოთხოვნილება უნდა შეადგენდეს სამარაგო წყლის 1/3 ნაწილს						

წყლის მოთხოვნილება რამგოლის მეთოდის მიხედვით						
წყალზე მოთხოვნის ტიპური საპროგნოზო მონაცემები						
გამანაწილებელი სისტემა		გაუმჯობესების შემდეგ მისაღწევი პროგნოზული მდგომარეობა				
მომხმარებელთა კატეგორია	მოსახლეობა	ერთეულოვანი მოთხოვნა	საშუალო დღიური მოთხოვნა	მაქსიმალური დღიური მოთხოვნა*		
წყლის საანგარიშო მოხმარება	მომარაგებული მოსახლეობის პროგნოზული რაოდენობა	მ ³ /სულზე/დღეში	საანგარიშო მოთხოვნა მ ³ /დღეში	საშ. საპროექტო ხარჯი ლ/წმ***	საანგარიშო მოთხოვნა მ ³ /დღეში	საშ. საპროექტო ხარჯი ლ/წმ***
მოსახლეობა	2500	0,25	625	7,23	781	9,04
სახანძრო ხარჯი**	მოსახლეობის მოხმარების %-ებში	10%	63	0,72	78	0,90
დიდი და მცირე საწარმოები**	(არსებული მონაცემებს + 10-20%)			0,00	0	0,00
ნეტო მოთხოვნა წყალზე გამანაწილებელ სისტემაში			688	7,96	859	9,95
აშკარა დანაკარგები (ნეტო მოთხოვნის %)**		2%	14	0,16	14	0,16
(უკანონო მიერთებები და მრიცხველების ცდომილებები)						
რეალური დანაკარგები (გაუმჯობესების შემდეგ) (ნეტო მოთხოვნის %-ებში)**		5%	34	0,40	34	0,40
სრული საპროგნოზო მოთხოვნა გამანაწილებელი სისტემისთვის			736	8,51	908	10,50
* სეზონური კოეფიციენტი მაქს. დღიური მოთხოვნისთვის:		1,25	(მიესადაგება მოთხოვნებს და არა გაუმჯობესებს)			
** მრიცხველების მონაცემების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ფაქტიურად აღრიცხულ მოხმარებას დაუმატეთ დაახლოებით 10%-20%						
*** პიკურ საათებში მოხმარების ზრდის კოეფიციენტის გათვალისწინების გარეშე						
**** კონკრეტულ სოფელში რაიმე განსაკუთრებული გარემოების არარსებობის შემთხვევაში, გამოიყენეთ შემდეგი პროცენტული სიდიდეები:						
აშკარა დანაკარგებისთვის:	წყალზე სრული მოთხოვნის	2%	ან ნეტო მოთხოვნის	3%		
რეალური დანაკარგებისთვის (გაუმჯობესების შემდეგ):	წყალზე სრული მოთხოვნის	5%	ან ნეტო მოთხოვნის	6%		
მაგისტრალურ მონაკარგებისთვის:	წყალზე სრული მოთხოვნის	2%	ან ნეტო მოთხოვნის	3%		
***** ტექნიკური წყალი გაწმენდისთვის	წყალზე სრული მოთხოვნის	1%	ან ნეტო მოთხოვნის	2%		
მაგისტრალური სისტემა						
მომხმარებელთა კატეგორია			საშუალო დღიური მოთხოვნა	მაქსიმალური დღიური მოთხოვნა*		
წყლის საანგარიშო მოხმარება			საანგარიშო მოთხოვნა მ ³ /დღეში	საშ. საპროექტო ხარჯი ლ/წმ***	საანგარიშო მოთხოვნა მ ³ /დღეში	საშ. საპროექტო ხარჯი ლ/წმ***
სრული საპროგნოზო მოთხოვნა წყალზე გამანაწილებელ სისტემაში			736	8,51	908	10,50
წყალზე საყოფაცხოვრებო მოთხოვნა მაგისტრალის გასწვრივ (ცალკე გაანგარიშეთ თითოეული ინდივიდუალური შემთხვევისთვის)			0	0,00	0	0,00
მაგისტრალურ მიღმდენების გასწვრივ მდებარე მცირე საწარმოების მოთხოვნა			0	0,00	0	0,00
ნეტო მოთხოვნა წყალზე მაგისტრალურ სისტემაში დანაკარგების გარეშე			736	8,51	908	10,50
აშკარა დანაკარგები (მაგისტ. სისტ. ნეტო მოთხოვნის %-ებში)**	2,0%		0	0,00	0	0,00
(უკანონო მიერთებები და მრიცხველების ცდომილებები)						
რეალური დანაკარგები (გაუმჯობესების შემდეგ) (ნეტო მოთხოვნის %-ებში)**	5,0%		37	0,43	37	0,43
ტექნ. წყლის მოხმარება სასმელი წყლის გამწმენდ ობიექტზე	0,0%		0	0,00	0	0,00
სრული მოთხოვნა სათავე ნაგებობებიდან მისაღებ წყალზე			772	8,94	944	10,93

საპროექტო უზნის წყლის საანგარიშო ხარჯები

წყლის ხარჯის გამოთვლა სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის

$$Q_{დღ. საშ} = \frac{N \cdot q_{მოს}}{1000} \text{ მ}^3 / \text{დღ.}$$

სადაც: N-არის მოსახლეობის რაოდენობა 2500 კაცი;
 $q_{მოს}$ - წყლის ნორმა ერთ სულ მოსახლეზე 250 ლიტრი/დღე; СНИП 2.04.02 ცხრ.-1

$$Q_{დღ. საშ} = \frac{2500 \cdot 250}{1000} = \frac{625000}{1000} = 625.0 \text{ მ}^3 / \text{დღ.}$$

$$Q_{დღ. მაქს} = Q_{დღ. საშ} \cdot K_{მაქს. დღ.დ} = 625.0 \cdot 1.2 = 750 \text{ მ}^3 / \text{დღ.}$$

სადაც: $K_{მაქს. დღ.დ} = 1.2$ - არის დღელამური უთანაბრობის კოეფიციენტი СНИП 2.04.02 §-2.2

$$q_{საშ. წმ} = 1000 \cdot \frac{Q_{დღ. მაქს}}{24 \cdot 3600} = 8.87 \text{ ლ/წმ}$$

$$q_{მაქს. წმ} = q_{საშ. წმ} \cdot K_{მაქს. სთ}$$

სადაც: $K_{მაქს. სთ}$ არის საათური უთანაბრობის კოეფიციენტი $K_{მაქს. სთ} = \alpha \cdot \beta$

α - კოეფიციენტი რომელიც ითვალისწინებს დასახლების კეთილმოწყობას СНИП 2.04.02 §-2.2 -ის მიხედვით $\alpha = 1.2 - 1.4$. ჩვენს შემთხვევაში $\alpha = 1.3$

β არის კოეფიციენტი რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის რაოდენობას. СНИП 2.04.02 ცხრ.-2 -ის თანახმად 2500 მოსახლის შემთხვევაში $\beta = 2.5$. აქედან გამომდინარე $K_{მაქს. სთ} = 1.3 \cdot 2.5 = 3.25$

$$q_{მაქს. წმ} = 8.87 \cdot 3.25 = 28.83 \text{ ლ/წმ}$$

წყლის ხარჯის გამოთვლა ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის

$$W = \frac{n \cdot q_{ხან} \cdot 3600 \cdot 3}{1000} \text{ მ}^3$$

სადაც: $q_{ხან}$ - არის ნორმა მიღებული წყლის ხარჯი 1 ხანძარზე და = 5 ლ/წმ
 n- ერთდროულად ხანძრების რაოდენობა და n= 2; - СНИП 2.04.02 ცხრ

$$W = \frac{1 \cdot 5 \cdot 3600 \cdot 3}{1000} = 56 \text{ მ}^3$$

წყალის ანგარიშიდან და სახანძრო მარაგის გათვალისწინებით საჭიროა საპროექტო სამარაგო რეზერვუარი იყოს $760 + 54 = 414$ მ³ ტევადობის მაგრამ სოფლის ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია სამარაგო რეზერვუარი.

საპროექტო ტერიტორიის ზოგადი ჰიდროგეოლოგიური კვლევა

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ შალაურის ტერიტორიაზე ჩატარდა ვიზუალური და თემატური ჰიდროგეოლოგიური კვლევები, რომელთა მიზანს წარმოადგენდა:

-ჭაბურღილის სამშენებლო მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლა;

-საპროექტო ჭაბურღილის მშენებლობის გეოლოგიურ-ტექნიკური პირობების დადგენა.

სამშენებლო მოედნის ფარგლებში გათვალისწინებულია არტეზიული ჭაბურღილის მშენებლობა, სასმელ საყოფაცხოვრებო წყლის მიღებით იძულებით ტუმბოს მეშვეობით 5 მ3/სთ-ში.

დასახული მიზნის მისაღწევად, პირველ რიგში ჩატარდა საკვლევი სამშენებლო მოედნისა და მიმდებარე ტერიტორიების რეკოგნოსციურებითი სამუშაოები. მოძიებული და შესწავლილ იქნა ფონდური და ლიტერატურული მასალები. ყოველივე ამის საფუძველზე შედგენილ იქნა წინამდებარე ჰიდროგეოლოგიური დასკვნა.

საკვლევი ტერიტორიის ზოგადი ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

ჰოროგრაფიულად საკვლევი რაიონი მიეკუთვნება მდ.ალაზნის ველს, რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება კავკასიონის მთები და წარმოადგენს ჩრდილოეთით კავკასიონის სამხრეთი ფერდის ბოლო ტოტებით, დასავლეთით ალაზნის ველი, ხოლო სამხრეთით ესაზღვრება ქართლის და კახეთის გამყოფი მთათა სისტემა; აღმოსავლეთით კი კასპის ზღვის ვაკით მთავრდება. მთებს შორის მოქცეული ალაზნის ველი, ძირითადად ვაკეს წარმოადგენს, რომელიც მთელ სიგრძეზე მდინარე ალაზნის ხეობით არის ჩაჭრილი. აბსოლუტური ნიშნულები მერყობს 600-800 მეტრს შორის. რელიეფის მთავარი ელემენტებია ეროზიული ხეობები და მეოთხეული ტერასები.

საკვლევი ტერიტორია მდიდარია ჰიდროგრაფიული ქსელით. მთავარი მდინარეა ალაზანი რომელსაც მარცხნიდან და მარჯვნიდან ერთვის არაერთი პატარა ხეობები და მდინარეები. ეს შენაკადები სათავეს იღებენ კავკასიონის სამხრეთ კალთაზე. ისინი საზრდოობენ მყინვარის, თოვლის, მიწისქვეშა და წვიმის წყლებით. მდინარეების წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა - ზამთარში.

ჰავა - სოფლის ტერიტორია ძირითადად მოიცავს ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული კონტინენტური კლიმატის ზონას, რომელსაც ჩრდილოეთით, კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე

ესაზღვრება მთისა და მაღალი მთისთვის დამახასიათებელი შედარებით ვიწრო ზონები. სიმაღლეები აღნიშნულ ტერიტორიაზე მატულობს ზღვის დონიდან 600 მ-დან (ალაზნის ნაპირები) 3400 მ-მდე (კავკასიონის წყალგამყოფი) ტერიტორიის დახასიათება მოხდა თელავის მეტეოსადგურით, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 450 მ სიმაღლეზე.

ტერიტორიაზე დამახასიათებელია ზომიერად ნოტიო ჰავა ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით. ზაფხულის ტემპერატურა +12.6 °C-ია ყველაზე ცივი თვის (იანვარი) საშუალო ტემპერატურა +0.9 °C -ია. ყველაზე ცხელი თვის (ივლისი-აგვისტო) საშუალო +24.1 °C, აბსოლუტური მინიმუმი -23 °C, ხოლო აბსოლუტური მაქსიმუმი +38 °C. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 72%-ს შეადგენს, ნალექების წლიური ჯამი 800 მმ, რომლის თვიური ჯამების მაქსიმუმი, როგორც წესი, მაისის თვეში მოდის და შეადგენს 120 მმ-ს, ხოლო მინიმუმი - იანვარში 30 მმ-ს. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 1.1 მ/წმ უდრის. მიმდებარე ტერიტორიაზე, ძირითადად, გაბატონებულია ჩრდილო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულების ქარები.

გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიური მიმოხილვა

კახეთის ქვედა იურულ ფიქლებრივ-ტერიგენულ ნალექებში დიდი რაოდენობით გვხვდება მცირე ინტრუზიული (მარღვული) მაგმური სხეულები, უფრო ნაკლებად ეფუზიური წარმონაქმნები (ლავური ნაკადები და განფენები) წარმოდგენილი უპირატესად დიაბაზური ქანებით. მათი გავრცელების არეალი გამოყოფილია კახეთის დიაბაზური სარტყელის სახელით, აღნიშნულ სარტყელთან დაკავშირებულია სპილენძ-პოლიმეტალური მინერალიზაციის მრავალრიცხოვანი გამოვლინებები.

კახეთის დიაბაზური სარტყელი ჰეტეროგენული აგებულებისაა, აქ გავრცელებული დაიკვები და სილლები განვითარებულია სხვადასხვა ასაკის (ეტაპის) ეფუზიურ წარმონაქმნებთან მჭიდრო ასოციაციაში და წარმოადგენენ მათ სუბვულკანურ ანალოგებს. გამოყოფილია ეფუზიურ-სუბვულკანური ქანების სამი კომპლექსი: ჰეტანჟინემიურულ-ადრე პლინსბახური, ზედა პლინსბახურ-ქვედა ტოარსული და აალენურ-ქვედაბაიოსური. ყველა მათგანი წარმოადგენს დამოუკიდებელ მაგმატურ ფორმაციას შესაბამისად: ანტიდრომულ რიოლით-დაციტ-ანდეზიტ-ბაზალტურს, Nა-იანი ბაზალტებისა და კონტრასტულ ბაზალტ-რიოლოთურს. ამ ფორმაციებთან

გენეტურ კავშირშია სხვადასხვა ნივთიერი შემადგენლობის და მასშაბის სტრატეგორმული და მემკვიდრეობით სტრატეგორმული კოლჩედაური საბადოები.

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ქვიშა ქვების და თიხოვანი გრუნტის სარტყელის ერთი გადაკვეთა სოფლის ტერიტორიაზე და ტექსტურულ-სტრუქტურული მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. პეტროგრაფიული შესწავლის საფუძველზე გამოყოფილია ქანების სხვადასხვა სახესხვაობები. მათი სილიკატური ანალიზების მონაცემების პეტროქიმიური მახასიათებლების შედარებამ სხვადასხვა ეტაპის ვულკანიტების პეტროქიმიურ მახასიათებლებთან საშუალება მოგვცა სოფლის ტერიტორიის ქრილის ძარღვული სხეულები მიგვეკუთვნებინა ზედაპლინსბახურ-ქვედატარსულ ეფუზიურ სუბვულკანური კომპლექსისათვის, რომელიც წარმოადგენს ქვიშაქვების და თიხოვან ფორმაციას.

ჰიდროგეოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი უბანი მიეკუთვნება საქართველოს ბელტის არტეზიული აუზების ჰიდროგეოლოგიურ ოლქს და ფოროვანი, ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყლების ალაზნის არტეზიული აუზის რაიონს.

სტრუქტურულად რაიონი წარმოადგენს ფართე და დამრეც სინკლინურ დეპრესიას, რომელიც განაპირა ნაწილებში გართულებულია შეცოცებითი ხასიათის რღვევებით. ყველაზე ძველი ნალექები ასაკობრივი თვალსაზრისით არის ბაიოსის პორფირიტული წყების ქანები. ზემოთ, ტრანსგრესიულად განლაგებულია მიოცენის ქვიშა-თიხოვანი ნალექები, რომლებიც ავსებენ დეპრესიის მთელ ტაფობს და წარმოდგენილი არიან კონგლომერატების, ქვიშაქვებისა და თიხების მონაცვლეობით. ყველა ეს ნალექები გადაფარულია მძლავრი ძველმეოთხეული და თანამედროვე ალუვიური ნალექებით.

საკვლევი რაიონის უდიდესი ნაწილი გამოიყოფა, როგორც ერთიანი არტეზიული აუზი, დაწნევიითი წყლების განვითარებით ცარცულ ნალექებში (დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში), მიოპლიოცენის ქვიშაქვებსა და კონგლომერატებში და ძველმეოთხეულ ქვიშოვან-კენჭნარ წარმონაქმნებში. უდაწნეო წყლები გავრცელებულია თანამედროვე და მეოთხეულ ნალექებში, ისევე, როგორც მეოთხეულამდეელი ქანების ზემო ნაწილებში.

ძველმეოთხეულ ნალექებში, რომლებიც განვითარებულია 70-200 მ-მდე სიღრმეში, ჭაბურღილებში გახსნილია უდაწნეო წყლების რამდენიმე ფენა, საერთო მინერალიზაციით 2-2.0 გ/ლ-მდე. დეპრესიის ღერძული ხაზის ჩრდილოეთით გამოვლენილია სუბარტეზიული, წყლების

ჰორიზონტები. ძველმეოთხეული ნალექების მიწისქვეშა წყლების ბაზაზე წარმატებით შეიძლება გადაიჭრას სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტების წყალმომარაგების პრობლემები.

ძველმეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტი ძირითადად წარმოდგენილია: ქვედა ნაწილში - სუსტადმინერალიზებული კონგლომერატებით, ხოლო ზედა ნაწილში - კაჭარ-კენჭნარით, თიხნარისა და თიხის შუაშრეებით.

დაბლობის გრუნტის წყლები წარმოადგენენ მდინარეების ფილტრატებს, რომლებიც ქვევიდან შემოსაზღვრულია პრაქტიკულად წყალგაუმტარი მიოპლიოცენის კონგლომერატებით. ჩრდილოეთ ნაწილში გრუნტის წყლების სარკის ზედაპირი მდებარეობს მიწის პირიდან 25-35 მეტრზე და ციკაბოდაა დახრილი სამხრეთით, სადაც კაჭრის, თიხნარისა და თიხის მორიგეობის ზონაში წარმოიქმნება დაწნევიითი წყლები.

მიწისქვეშა წყლების შედგენილობა ძირითადად, ჰიდროკარბონატულ-სულფატური, კალციუმიანი ან ნატრიუმიანია, მინერალიზაციით 1,1 გ/ლ-მდე, ტემპერატურა 10 C⁰-15 C⁰.

მიოპლიოცენის ასაკის სპორადულად გაწყლიანებული ლაგუნურ-კონტინენტური ნალექები წარმოდგენილია თიხებითა და კონგლომერატებით, თიხოვან-კირქვოვან ცემენტზე, იშვიათად ქვიშის შემავსებლით. ეს უკანასკნელი არის მცირედ წყალშემცველი. სხვა ქანები წყალგაუმტარია. ეს წყება ავსებს ალაზნის სინკლინს, რომელშიც მრავალი მცირე ზომის ანტიკლინი და სინკლინია. ამ ნალექების სიმძლავრე 3 კმ-ს აღწევს.

გრუნტის წყლები ცირკულირებს ქანების ფიზიკური გამოფიტვის ზონაში, ეროზიული ჭრის დონის ზედა ნაწილებში და გამოვლინდება ლოკალურად, ხევების კიდეებზე, სადაც იკვეთება ცალკეული, მცირედ გაწყლოვანებული შრეები. გრუნტის წყლების რესურსები ბლომადა თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ცალკეული წყაროების დებიტები მერყეობს 0,1-დან 0,5 ლ/წმ-მდე, ხოლო ჭაბურღილების დებიტები 3.0-დან 5.0 ლ/წმ-მდე. საერთო მინერალიზაცია -0,3-1,0 გ/ლ-მდე. ქიმიური შედგენილობა ჰიდროკარბონატულ კალციუმ-მაგნიუმიანია, საერთო სიხისტე 2-5 მგ/ექვივალენტი ლიტრში.

გრუნტის წყლები ხასიათდება კარგი სასმელი თვისებებით და გამოიყენება წყალმომარაგების მიზნით.

ჭაბურღილის განლაგების ტერიტორიის ჰიდროგეოლოგია

თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი შალაურში დაგეგმილია ჭაბურღილის მშენებლობა ადგილობრივი მოსახლეობის სასმელ-საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების მიზნით. საპროექტო ჭაბურღილის კოორდინატებია: X=551173.804, Y=4634416.192, Z=739.00 მ.

საპროექტო უბნის კერძოთ სოფელ შალაურის და მის მიმდებარე სოფლების ტერიტორიებზე გაყვანილია ჭაბურღილები და ჰიდროგეოლოგიური პარამეტრების ანალიზი გვიჩვენებს, აქ იხსნება მიწისქვეშა წყლების ჰორიზონტები უარყოფითი სტატიკური დონეებით. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ საპროექტო ჭაბურღილის მეშვეობით შესაძლებელი იქნება მიღებულ იქნას უდაწნეო წყალი, ხოლო წყლის დებიტის გაზდის მიზნით საჭირო გახდება სიღრმული ელექტროტუმბოს დახმარება.

საპროექტო 5 მ³/საათში 1.39 ლ/წმ წყლის მოთხოვნილების მიხედვით წყლის მოთხოვნილი რაოდენობის მისაღებად საჭიროა ჭაბურღილი გაიბურღოს 200 მ სიღრმეზე. სადაც ჭაბურღილის წყლის დონე შეადგენს -60.0 -70.0 მეტრი სიღრმეში.

ჭაბურღილის გაბურღვის პერიოდში ჭაბურღილის დანიშნულება იქნება საძიებო, ხოლო გაბურღვის შედეგად მიღებული წყლის ანალიზების და საცდელი ამოტუმბვების შემდგომ შესაბამისი ჭაბურღილის პასპორტის შექმნის შემდგომ ჭაბურღილი გახდება საექსპლუატაციო რომლის საპროექტო მონაცემები იქნება შემდეგი:

- ბურღვის მეთოდი: როტორული, თიხის ხსნარისა და წყლის გამოყენებით;
- სავარაუდო პიეზომეტრიული დონე: -60.0 - -70.0 მ;
- ხვედრითი დებიტი (სავარაუდო): 1.2 -1.3 ლ/წმ;
- საპროექტო დებიტი: 5 მ³/სთ, ანუ 1.39 ლ/წმ;
- ჭაბურღილის სიღრმე: 200 გ.მ.;

ბურღვის პროცესში, ჰიდროგეოლოგიური დაკვირვებების საფუძველზე, ჰიდროგეოლოგთან კონსულტაციის შემდეგ, შესაძლებელია საპროექტო სიღრმის რეგულირება, შემცირების თვალსაზრისით, ლითოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე.

საპროექტო რაოდენობის წყლის მისაღებად, ჩატარებული ვიზუალური რეკონსტრუირების, ფონდური და ლიტერატურული მასალების დამუშავებისა და თეორიულ და პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ჭაბურღილი უნდა გაიბურღოს შემდეგი კონსტრუქციით:

0,0-200,0 მ; ბურღვის დიამეტრი იქნება 374 მმ; ჩაისმება d=273X4.5 ფოლადის საცავი მილები და ფილტრები 40-190 მ; 190-200 მ ინტერვალში მოეწყობა სალექარი; ზემოდან უნდა გაუკეთდეს საცობი. ფილტრების მუშა ნაწილების სიმძლავრეს ვანგარიშობთ ფორმულით:

$$L=Q \times a/d$$

სადაც: Q არის ჭაბურღილის საპროექტო დებიტი - მ³/სთ,

d - ფილტრის გარე დიამეტრი, მმ;


a - ჰორიზონტის ფილტრაციული თვისებების განმსაზღვრელი კოეფიციენტი, განყენებული სიდიდეა, ჩვენს შემთხვევაში, გარკვეული სიფრთხილით, ვღებულობთ 150-ს:

$$L=10 \times 150/273=5.49 \text{ გ.მ.}$$

ჭაბურღილის ექსპლუატაცია ანალოგიურ პირობებში გვიჩვენებს, რომ დროთა განმავლობაში ხდება ფილტრების გამტერუნარიანობის შემცირება; ამიტომ, აუცილებელია მისი მუშა ნაწილის სიგრძე გაიზარდოს 150 მეტრამდე. ფილტრები განაწილდება წყალშემცველი ფენების გამოვლენის შესაბამისად.

ფილტრები უნდა განთავსდეს შემდეგ სიმაღლეებზე მიწის ზედაპირიდან 273 მმ მილსადენზე -40 ÷ -190 მ სიღრმეზე.

სასურველია, რომ ფილტრები იყოს ქარხნული წესით დამზადებული. თუ ასეთი ვერ მოიძიეს მშენებლებმა, მაშინ ისინი უნდა დამზადდეს შემდეგნაირად:



ჭაბურღილის წრეზე მოეწყოს 6 ღარი თითოეული სიგრძით 25-30 სმ ღარის სისქით 2-5 მმ-მდე. ფილტრი ღარები მოეწყოს შედუღების აპარატით ხოლო მილის გარეთა მხარე ჭრის ადგილებში დამუშავდეს სალესი ხელსაწყოთი ხოლო მილის შიგნით ჭაბურღილის ბურღის დოლოტით ჭაბურღილის ამორეცხვისას და ჭაბურღილის ფილტრის ირგვლივ მოეწყოს ღორღის ფრაქცია ასევე ჭაბურღილის მილების გადაბმა განხორციელდეს შედუღების წესით და ასე შემდეგ, ჭადრაკული განლაგების პრინციპით.

ჭაბურღილის ბურღისთვის საჭირო იქნება $d=377$ მმ დიამეტრის საშუალო და მაგარი სიმაგრის ქანების სამსაღარავიანი სატეხები.

ჭაბურღილის ბურღის დროს, ფონდურ და ლიტერატურულ მასალებზე დაყრდნობით, სავარაუდოდ გაიხსნება შემდეგი კატეგორიის ქანები:

1. III კატეგორია -0 ÷ - 30 გ.მ.
2. IV კატეგორია -30 ÷ - 60 გ.მ.
3. V კატეგორია -60 ÷ -100 მ.
4. VI კატეგორია -100 ÷ -130 მ.
5. VII კატეგორია -130 ÷ -180
6. VIII კატეგორია -180 ÷ -200

ბურღის დამთავრებისა და ჭაბურღილის გარეცხვისას ფილტრების მილსგარეთა სივრცეში უნდა ჩაიყაროს 10-15 მმ ზომის ხრემის ან ღორღის ფრაქცია; შემდეგ უნდა ჩატარდეს ამოტუმბვითი სამუშაოები (საცდელ-ფილტრაციული კვლევები), რომელთა დროსაც მოხდება მიწისქვეშა წყლების დონეებზე, დებიტებსა და ტემპერატურებზე სისტემატური დაკვირვებები 5 დღე-ღამის განმავლობაში და სამუშაოთა მწარმოებელი ორგანიზაციის მიერ უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის პასპორტის შედგენა.

ამოტუმბვის პროცესის დასრულების შემდეგ აუცილებლად საჭიროა წყლის სინჯის აღება და მისი სრული ჰიდროქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზების ჩატარება.

წყლის დებიტის გაზდის და ქსელში წნევის მომატების მიზნით საჭიროა ჭაბურღილში ჩაიდგას სიღრმული ტუმბო სიღრმით 90 მეტრში აწევის სიმაღლით 120 მ წარმადობა კი - 5 მ³/საათში. გარდა ელექტროტუმბოსი, ჭაბურღილის საექსპლუატაციო კოლონაში და ზემოთ უნდა დამონტაჟდეს 120 გ.მ. სიგრძის, $S=4$ მმ² კვეთის იზოლირებული ელექტროკაბელები, სპეციალური წყალსაწევი მილები $L=90$ გ.მ. $d=76$ მმ (რომელზეც უნდა ჩამოიკიდოს ელექტროტუმბო). სამშენებლო ნორმების და წესების თანახმად სანიტარიული დაცვის მიზნით აუცილებელია ჭაბურღილი შემოიღოს მავთულბადით, ზომით 7,5 X 5,0-ზე. მშენებელმა ორგანიზაციამ მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით უნდა შეადგინოს ჭაბურღილის პასპორტი.


ჭაბურღილის ბურღვა

ბურღვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თიხის ხსნარის კონსისტენციის შემცირებას ან თიხის ხსნარის დაკარგვას. ეს იქნება წყალშემცველი ფენების ინტერვალების დაფიქსირების ინდიკატორი. ამ ინტერვალების დაფიქსირების შემდეგ ისევ აღადგენენ თიხის ხსნარის კოლოიდურობას და გააგრძელებენ ბურღვას.

საბურღ დაზგას მოემსახურება მბურღავთა ბრიგადა 6 კაცის შემადგენლობით. ბურღვის ბრიგადას უნდა ჰქონდეს სასმელ წყალზე ბურღვის გამოცდილება. საცავი მილებისა და ფილტრების კოლონის აწყობა ხდება წყალშემცველი ინტერვალების გათვალისწინებით, ამ დროს განსაკუთრებით უნდა მიექცეს ყურადღება, რომ არ გადაიკეტოს რომელიმე

წყალშემცველი ინტერვალი. ბურღვის პროცესში დაფიქსირებული წყალშემცველი ფენების ინტერვალების აღრიცხვა ხდება ბურღვის ჟურნალში.

ბურღვის დამთავრების შემდეგ, სანიტარიული დაცვის მიზნით, აუცილებელია ჭაბურღილის თავმორთულობის მოწყობა ასევე დაცემენტება პროექტის მიხედვით და სანიტარულად დაცულ შენობაში შემოღობვის გათვალისწინებით. ნახ. №3-ზე მოცემულია ჭაბურღილის მოწყობის სქემატური ნახაზი.



ნახ. №3. ჭაბურღილის მოწყობის სქემატური ნახაზი

საცდელი სამუშაოები

ჭაბურღილის გაბურღვის, საცავი მიღებისა და ფილტრების ჩასმის შემდეგ, ჭაბურღილი გაიწმინდება სუფთა წყლით თიხის ხსნარის მოცილების მიზნით და ჩატარდება წყლის ამოტუმბვითი სამუშაოები, ერლიფტის საშუალებით. წყლის ამოტუმბვამდე გაიზომება მისი სტატიკური დონე, ხოლო საცდელი სამუშაოების მიმდინარეობისას – წყლის დებიტი, დინამიური დონე და გამოითვლება წყლის დონის დაწევის სიდიდე.

ამ მონაცემების საფუძველზე, განისაზღვრება წყალშემცველი ფენის ჰიდროგეოლოგიური პარამეტრები: ხვედრითი დებიტი, წყალგამტარობა, ფილტრაციის კოეფიციენტი და გავლენის რადიუსი. საცდელი სამუშაოების დამთავრების წინ, აიღება წყლის ნიმუშები, რომელთაც ჩაუტარდება ლაბორატორიული გამოკვლევები.

ჭაბურღილის ტუმბოს შერჩევა

ტუმბოს დეტალური შერჩევა უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის გაბურღვის და ჭაბურღილის საპასპორტო მონაცემების შექმნის შემდგომ ამ ეტაპისთვის ხარჯთაღრიცხვის მიახლოებითი დათვლის მიზნით და ჰიდროგეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ჭაბურღილის ტუმბოს პარამეტრებად შერჩეული იქნა მაღალი ხარისხის სერთიფიცირებული ტუმბო აწევის სიმაღლით 120 მ და წარმადობით 5 მ³/საათში მარგი ქმედების მინიმალური 0,70 კოეფიციენტით.

ელექტრომუერნეობა

ჭაბურღილის ელ მომარაგება უნდა განხორციელდეს დენის წყაროს უახლოესი მონაკვეთიდან 3X10+1X6 მმ² კვადრატის მქონე იზოლირებული ელ.სადენით რომელიც პირველ რიგში უნდა მიუერთდეს ჭაბურღილის მართვის კარადას, საიდანაც ხორციელდება როგორც ჭაბურღილის ელ.მოწყობილობებზე განაწილება.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №27 31.10.2014 წ. მიხედვით ელ. მომარაგების მიერთება უნდა განხორციელდეს ენერგო-პრო ჯორჯიამ მოსაკრებლის გადახტის შემდგომ რაც ასახულია ხარჯთაღრიცხვაში.

ენერგო-პრო ჯორჯიაში ტექნიკურის პირობის განაცხადი უნდა განხორციელდეს 0,38 ძაბვაზე 1-10 კვ.-მდე სადაც მოსაკრებელი შეადგენს 2000 ლარს.

სოფელ შალაურის რეზერვუარში მიმწოდი მაგისტრალური მილსადენის ჰიდრავლიკური გაანგარიშება

საპროექტო მაგისტრალური მილსადენის სიგრძეებია, ჭაბურღილიდან სამარაგო რეზერვუარამდე შეადგენს 370 მეტრს, სადაწნეო მილსადენი პროექტით გამოყენებულია PN10 PE100 SDR11 d=110 მმ მილსადენი და პროექტით მილსადენები გადის დაუსახლებელ ადგილას და ძირითად მონაკვეთებში მიუყვება შიდა სასოფლო საავტომობილო გზას

ჰიდრავლიკური გაანგარიშებები ჩატარებულია: პირველი წყლის ნორმების დაცვით წყალმოთხოვნილებაზე და მეორე მილსადენის მაქსიმალურ წყალგამტარუნარიანობაზე.

ანგარიშებისთვის ჩატარებულ იქნა ჰიდრავლიკური გაანგარიშება მილში წყლის გამტარუნარიანობაზე წნევის დანაკარგების, სტატიკური დაწნევისა და ჯამური ჰიდრავლიკური დანაკარგების მიხედვით. ამავე დროს გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ სასურველია ჰიდრავლიკური დანაკარგები არ აჭარბებდეს სტატიკური დაწნევის 10-15%. საიდანაც შესაძლებელია დანაკარგების და სტატიკური წნევის მიხედვით დაანგარიშებული იქნას წყლის რაციონალური გამტარუნარიანობა ხოლო ჩვენს შემთხვევაში წყლის მიწოდების სტატიკური წნევა შეადგენს.

$$H_{სტატ.} = H_{სათ.} - H_{წნ.გამ.რეზ}$$

სადაც: $H_{სტატ.}$ - არის სათავესა და წნევის ჩამქრობი რეზერვუარის ნიშნულთა სხვაობა ზღვის დონიდან მ

$H_{სათ.}$ - არის სათავიდან გამომავალი მილსადენის სიმაღლე ზღვის დონიდან მ

$H_{წნ.გამ.რეზ}$ - არის წნევის დამგდები რეზერვუარში მილის შესვლის ნიშნული ნიშნული ზღვის დონიდან

მოცემული ფორმულის მიხედვით

მაგისტრალური მილსადენის პირველი ნაწილი

$$H_{სტატ.} = H_{სათ.} - H_{წნ.გამ.რეზ}$$

მაგისტრალური მილსადენის მეორე ნაწილი

$$H_{სტატ.} = H_{სათ.} - H_{წნ.გამ.რეზ}$$

შერჩეული სქემის მიხედვით მილსადენის სტატიკური დაწნევა შეადგენს

ჭაბურღილიდან არსებულ რეზერვუარამდე

$$H_{სტ.} = 765 - (739 - 90) = 765 - 649 = 116.0 \text{ მეტრს.}$$

საანგარიშო ნეტო დაწნევა იანგარიშება ფორმულით:

$$H_{ნეტ.} = H_{სტ.} - \sum h_{დან}, \text{ მ}$$

სადაც: $H_{სტ.}$ - არის მაგისტრალური მილსადენის სტატიკური დაწნევა, მ.

$\sum h_{დან}$ - არის ჯამური ჰიდრავლიკური დანაკარგები მაგისტრალურ მილსადენზე,

მოცემულ ეტაპზე ჰიდრავლიკური დანაკარგები შეიძლება ვიანგარიშობთ შემდეგი ფორმულით:

$$\sum h_{დან} = 1.1 * \lambda * \frac{l}{d} * \frac{v^2}{2g}, \text{ მ}$$

აქ 1.1 არის კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ დანაკარგებს, რომელიც შეადგენს სიგრძეზე დანაკარგის 10%-ს;

λ - სიგრძეზე წინაღობის კოეფიციენტი $\lambda = 0.02$;

l - მილსადენის სიგრძე მ;

d - მილსადენის დიამეტრი;

V - ნაკადის მოძრაობის საშუალო სიჩქარე მილსადენში.

იხილეთ ჰიდრავლიკური დანაკარგების მრუდი ნორმით გათვალისწინებული წყალმოთხოვნილებაზე და მაქსიმალურ წყალგამტარუნარიანობაზე.

ჭაბურღილიდან არსებული რეზერვუარამდე მაგისტრალური მილსადენის ჰიდრავლიკური ანგარიში

მაგისტრალური მილსადენის ჰიდრავლიკური ანგარიში ქაბურღილიდან და სამარაგო რეზერვუარამდე																		
N	მილსადენის დიამეტრი მმ	მილსადენის შიდა დიამეტრი მმ	წყლის სიჩქარე მ/წმ	მილსადენის სიგრძე მ	ქაბურღილი ტიპის ნიშნული მ	სოფლის სამარაგო რეზერვუარის ნიშნული მ	სიმაღლე სავალია მ	სტატეკური წნევა ატ.	წყლის ხარჯი ლ/წმ	ჰიდრავლიკური დაწკარგი მ	ადგილობრივი დაწკარგი მ 15%	ჯამური ჰიდრავლიკური დაწკარგი მ	ნეტო დაწკარგი მილსადენის ბოლოში მ	წყლის ხარჯი მ/სთ	წყლის ხარჯი მ3 6 სთ	წყლის ხარჯი მ3 12 სთ	წყლის ხარჯი მ3 18 სთ	წყლის ხარჯი მ3/დღე-ღამე
1	110	90	0,025	370	649	765	116	11,6	0,159	0,01	0,00	0,01	116,01	0,57	3,43	6,87	10,30	13,73
2	110	90	0,050	370	649	765	116	11,6	0,318	0,02	0,00	0,03	116,03	1,14	6,87	13,73	20,60	27,47
3	110	90	0,075	370	649	765	116	11,6	0,477	0,05	0,01	0,06	116,06	1,72	10,30	20,60	30,90	41,20
4	110	90	0,100	370	649	765	116	11,6	0,636	0,09	0,01	0,11	116,11	2,29	13,73	27,47	41,20	54,94
5	110	90	0,125	370	649	765	116	11,6	0,795	0,14	0,02	0,17	116,17	2,86	17,17	34,34	51,50	68,67
6	110	90	0,150	370	649	765	116	11,6	0,954	0,21	0,03	0,24	116,24	3,43	20,60	41,20	61,80	82,41
7	110	90	0,175	370	649	765	116	11,6	1,113	0,28	0,04	0,32	116,32	4,01	24,04	48,07	72,11	96,14
8	110	90	0,200	370	649	765	116	11,6	1,272	0,37	0,06	0,42	116,42	4,58	27,47	54,94	82,41	109,87
9	110	90	0,225	370	649	765	116	11,6	1,431	0,47	0,07	0,54	116,54	5,15	30,90	61,80	92,71	123,61
10	110	90	0,250	370	649	765	116	11,6	1,590	0,58	0,09	0,66	116,66	5,72	34,34	68,67	103,01	137,34
11	110	90	0,275	370	649	765	116	11,6	1,749	0,70	0,10	0,80	116,80	6,29	37,77	75,54	113,31	151,08
12	110	90	0,300	370	649	765	116	11,6	1,908	0,83	0,12	0,95	116,95	6,87	41,20	82,41	123,61	164,81
13	110	90	0,325	370	649	765	116	11,6	2,067	0,97	0,15	1,12	117,12	7,44	44,64	89,27	133,91	178,55
14	110	90	0,350	370	649	765	116	11,6	2,225	1,13	0,17	1,30	117,30	8,01	48,07	96,14	144,21	192,28
15	110	90	0,375	370	649	765	116	11,6	2,384	1,30	0,19	1,49	117,49	8,58	51,50	103,01	154,51	206,02
